საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №28
2026 წლის 28 იანვარი

ქ. თბილისი

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებით (სსმ III, 29.11.2007 წ., №169, მუხლი 1871) დამტკიცებულ დანართ №2-ში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბიუჯეტის განმკარგველის – 2702 – „შპს – ხაშურის დეზინფექციის, დეზინსექციის, დერატიზაციის და სტერილიზაციის სამსახური“ შემდეგ დაემატოს შემდეგი ბიუჯეტის განმკარგველები:

„91[100]	2703	სს – ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი;
91[101]	2704	შპს – თბილისის №4 საოჯახო მედიცინის ცენტრი;
91[102]	2705	შპს – ქ.თბილისის №25-ე მოზრდილთა პოლიკლინიკა;
91[103]	2706	შპს – წყნეთის საექიმო ამბულატორია;
91[104]	2707	შპს – ლილოს სამედიცინო ცენტრი;
91[105]	2708	შპს — ქ. თბილისის კარდიოლოგიური საავადმყოფო;
91[106]	2709	შპს – კოჯრის საექიმო ამბულატორია;
91[107]	2710	შპს – ალპური კლუბი;
91[108]	2711	შპს – დასტაქარი“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2026 წლის 2 თებერვლიდან.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი **ლაშა ხუციშვილი**